



ქრისტიანთა დევნა რომის იმპერიაში
I ნაწილი

დევნების ისტორია

ტრადიციულად, ახალი აღთქმის ეკლესიის არსებობის პირველ სამ საუკუნეს მიაწერენ 10 დევნას, რომლის ანალოგსაც ეგვიპტის 10 სასჯელში, ან აპოკალიპსური მხეცის 10 რქაში ხედავენ (გამოსვლათა 7-12; გამოცხად: 12. 3; 1; 17. 3, 7, 12, 16) და ისეთ იმპერატორებს მიაწერენ, როგორებიც: ნერონი, დომიციანე, ტრაიანე, მარკუს ავრელიუსი, სეპტიმუს სევერუსი, მაქსიმიანე თრაკიელი, დეკიუსი, ვალერიანე, აურელიანე და დიოკლიტიანე იყვნენ. სავარაუდოდ ასეთი გათვლა პირველად IV-V საუკუნეების ქრისტიანმა მწერალმა, სულპიციუს სევერუსმა გააკეთა (Sulp. Sev. Chron. II 28, 33; იხ. Aug. De civ. Dei. XVIII 52). სინამდვილეში „ამ ციფრს არ გააჩნია მყარი ისტორიული საფუძველი“, რადგან დევნები, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა, შეგვიძლია „მეტადაც დავითვალოთ და ნაკლებადაც“ (Болотов. Собр. Трудов. Т. 3. С. 49-50).

თავად უფალი, ჯერ კიდევ მიწიერი ცხოვრებისას უწინასწარმეტყველებდა თავის მოციქულებს სამომავლო დევნების შესახებ, როდესაც მათ „კრებულს გადასცემდნენ და სინაგოგებში ცემას დაუწყებდნენ“ და „მიიყვანენ თქვენ წინაშე მთავართა და მეფეთა ჩემთვის საწამებელად მათდა და წარმართთა“ (მთ. 10. 17-18), ხოლო მისი მიმდევრები გაიმეორებენ თავად მისი წამების სახეს („სასუმელი სამე, რომელსა მე ვსუამ, სუათ და ნათლის ღებავი, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ“ - მკ. 10. 39; მთ. 20. 23; იხ. მკ. 14. 24 და მთ. 26. 28). ქრისტიანულმა თემმა, რომელიც წარმოიქმნა იერუსალიმში, მაცხოვრის სიტყვების ჭეშმარიტება საკუთარ თავზე გამოსცადა. ქრისტიანთა პირველი მდევნელები, მათი თანამემამულენი და ყოფილი ერთმორწმუნეები (იუდეველები) აღმოჩნდნენ. I საუკუნის 30-იანი წლების შუა პერიოდიდან უკვე „იხსნება“ ქრისტიან მოწამეთა სია: დაახლოებით 35 წელს, „კანონების თავგამოდებული დამცველების“ ჯგუფმა ქვებით ჩაქოლა სტეფანე პირველმოწამე (საქმე 6. 8-15; 7. 1-60). იუდეველთა მეფის, ჰეროდე აგრიპას ხანმოკლე მმართველობის პერიოდში (40-44), მოციქული იაკობი მოკლეს, რომელიც იოანე ღვთისმეტყველის ხორციელი ძმა გახლდათ; მაცხოვრის სხვა მოწაფე, მოციქული პეტრე დააპატიმრეს, რომლის შემდეგაც იგი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს (საქმე 12. 1-3). დაახლოებით 62 წელს, ფესტოსის სიკვდილის შემდეგ, რომელიც იუდეაში მეფის ნაცვალის ფუნქციას ასრულებდა, მღვდელმთავარ ანა უმცროსის განჩინებით, იერუსალიმში არსებული ქრისტიანული თემის ხელმძღვანელი, მახოვრის ხორციელი ძმა და იერუსალიმის პირველი პატრიარქი, მოციქული იაკობი ქვებით ჩაქოლეს (Ios. Flav. Antiq. XX 9. 1; Euseb. Hist. eccl. II 23. 4-20).

ახალი აღთქმის ეკლესიის არსებობის პირველ ათწლეულში, ქრისტიანობა წარმატებით განივრცო პალესტინის საზღვრებში, ებრაულ დიასპორაში და პირველ რიგში, ელინიზებულ იუდეველთა და წარმართობიდან მოქცეულთა შორის. თუმცა, ქრისტიანობას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა კონსერვატიულად განწყობილი იუდეველების მხრიდან, რომელთაც თავიანთი წეს-ჩვეულებების კანონმდებლობიდან არც ერთი პუნქტის დათმობა არ სურდათ (Frend.

1965. P. 157). მათ თვალში, ქრისტიანობის მქადაგებელი „მთელს მსოფლიოში მცხოვრებ იუდეველთა შორის ამბოხების გამომწვევად“ ითვლებოდა. (მაგ: როგორც ეს პავლე მოციქულის შემთხვევაში იყო) (საქმე 24. 5). ისინი დევნიდნენ მოციქულებს, აიძულებდნენ მათ, რომ ქალაქიდან ქალაქში გადასულიყვნენ და ხალხს ქრისტიანთა წინააღმდეგ აქეზებდნენ (საქმე. 13. 50; 17. 5-14). მოციქულთა მტრები ცდილობდნენ, რომ ქრისტიანთა მისიონერული საქმიანობის ჩამხშობ ინსტრუმენტად სამოქალაქო ხელისუფლება გამოეყენებინათ, თუმცა რომაელ ხელისუფალთ არ სურდათ, რომ ძველი და ახალი ისრაელის კონფლიქტში ჩარეულიყვნენ (Frend. 1965. P. 158-160). ოფიციალური პირები თვლიდნენ, რომ ეს იუდეველთა შიდა საქმე იყო და ქრისტიანებს, როგორც იუდეური რელიგიის ერთ-ერთი განშტოების წარმომადგენლებს, ისე უყურებდნენ. დაახლოებით 53 წელს, კორინთოში აქაიის პროვინციის პროკონსულმა გალიონმა (ფილოსოფოს სენეკას ძმამ), უარი განაცხადა პავლე მოციქულის საქმის განხილვაზე და გამოუცხადა ბრალმდებლებს: „თავად გაერკვიეთ, რადგან არ მინდა, რომ მე ვიყო ამ საქმის მოსამართლე“ (საქმე 18. 12-17). ამ პერიოდში რომაული ხელისუფლება არ იყო მტრულად განწყობილი არც მოციქულისადმი და არც მისი ქადაგებისადმი (იხ. სხვა შემთხვევები: თესალონიკში - საქმე. 17. 5-9; იერუსალიმში, პროკურატორთა ფელიქსის და ფესტოსის დამოკიდებულება პავლე მოციქულისადმი - საქმე 24. 1-6; 25. 2). თუმცა, 40-იან წლებში, იმპერატორ ტიბერიუს კლავდიუსის მმართველობისას, რომში გარკვეული ნაბიჯები გადადგეს ქრისტიანთა წინააღმდეგ: ხელისუფლების წარმომადგენლები „*იუდეველთა გადასახლებით შემოიფარგლნენ, რომელნიც მუდამ ღელავდნენ ქრისტეს გამო*“ (Suet. Claud. 25. 4).

იმპერატორ ნერონის დროს (64-68)

რომის იმპერიასა და ეკლესიას შორის პირველი სერიოზული დაპირისპირება, რომლის მიზეზები დღემდე დისკუსიის საგნად რჩება, დაკავშირებული იყო ძლიერ ხანძართან, რომელიც მოხდა რომში 64 წლის 19 ივლისს. ისტორიკოსი ტაციტუსი (II ს. დასაწყისი) გვამცნობს, რომ ხალხი ჭორების დონეზე, ხანძრის გამჩალებლად თავად იმპერატორს მიიჩნევდა და მაშინ ნერონმა, „*რათა გაექარწყლებინა ჭორები, მოძებნა დამნაშავეები და საშინელ წამებას დაუქვემდებარა ისინი, რომელთაც თავიანთი სისაძაგლეებით საყოველთაო სიძულვილი გამოიწვიეს და რომელთაც ქრისტიანებს უწოდებდნენ*. რომის ხელისუფლებაც და მოსახლეობაც ქრისტიანობას განიხილავდნენ, როგორც „*მავნებლურ ცრურწმენას*“ (*exitiabilis superstitio*), *იუდეურ სექტას, რომელნიც დამნაშავენი იყვნენ* „*არა იმდენად მავნებლური ხანძრის გაჩაღებაში, რამდენადაც სახალხო სიძულვილში*“ (*odio humani generis*). თავდაპირველად ისინი დააკავეს, „*ვინც ღიად განუკუთვნებდა საკუთარ თავს ამ სექტას, ხოლო შემდგომ მათი მითითებით სხვების დიდი უმრავლესობაც*“. მათ სასტიკად კლავდნენ, დასაგლეჯად უგდებდნენ ცხოველებს, ჯვარს აცვავდნენ, ან ცოცხლად წვაავდნენ „*ღამის სიბნელის განათებისათვის*“ (*ibidem*).

I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქრისტიანი ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ დროს რომში ქრისტიანები გაიგივებულნი იყვნენ იუდეურ სექტანტებთან. წმ. კლიმენტი რომაელი, არსებულიდან გამომდინარე დევნას განიხილავს, როგორც იუდაური და ქრისტიანული თემის დაპირისპირების შედეგს. მას მიაჩნია, რომ „*ეჭვიანობისა და შურის შედეგად, ეკლესიის ბრწყინვალე და უბიწო ბურჯები დაექვემდებარნენ დევნას და სიკვდილს*“. (clem. Rom. Ep. I ad cor 5; herma. Pastor. 43. 9, 13-14, მცნება 11, ეკლესიაზე, როგორც „*სინაგოგაზე*“). ასეთ შემთხვევაში ეს დევნა შეიძლება განიმარტოს, როგორც ქრისტეს უარმყოფელ იუდეველთა რეაქცია, რომელთაც სასახლის კარზე მოიმადლიერეს რა გავლენიანი დამცველები, პრეტორიის პრეფექტის - ტიგელინის და ნერონის მეორე ცოლის - საბინას სახით, „*შედლეს, რომ მდაბიო ხალხის ბოღმა საზიზღარ სქიზმატებისაკენ - ქრისტიანული სინაგოგისაკენ მიემართათ*“ (Frend. P. 164-165).



ღევნას შეეწირნენ მოციქულთა თავნი პეტრე (ხსენება 16 იანვარს, 29,30 ივლისს) და პავლე (ხსენება 29 ივლისს). მათი წამების ადგილი, აღწერილობა და დრო ძალზედ ადრე იქნა დაფიქსირებული საეკლესიო გარდამოცემაში. II საუკუნის ბოლოს, რომის ეკლესიის პრესვიტერმა - გაიმ იცოდა „მოციქულთა წმ. ნაწილების შესახებ“, რომელნიც დაკრძალული გახლდათ ვატიკანში და ოსტიენსის გზაზე - ადგილები, სადაც აღნიშნულმა მოციქულებმა მოწამეობრივად დაასრულეს თავიანთი მიწიერი ცხოვრება (Euseb. Hist. eccl. II 25. 6-7). პეტრე მოციქული თავდაყირა აცვეს ჯვარს, პავლე მოციქულს, როგორც რომის მოქალაქეს, თავი მოჰკვეთეს (ИИ 21. 18-19; Clem. Rom. Ep. I ad cor. 5; Lact. De mort. Persequ. 3; Tertull. De praescript. Hear. 36; idem. Adv. Gnost. 15; და სხვა). პეტრე მოციქულის წამების დროსთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ევსები კესარიელი მას ათარიღებს 67-68 წლებით; სავსებით შესაძლებელია იმის გამო, რომ ცდილობს დაასაბუთოს მოციქულის 25 წლიანი მოღვაწეობა რომში, იწყებს რა ათვლას 42 წლიდან. (Euseb. Hist. eccl. II 14.6). პავლე მოციქულის გარდაცვალების დრო შედარებით უფრო დაუდგენელია. ის ფაქტი, რომ იგი აწამეს როგორც რომის მოქალაქე, გვამღებს შესაძლებლობას ჩავთვალოთ, რომ ეგზეკუცია რომში აღსრულდა ან ხანძრის გაჩენამდე (62 წელს - ბოლოტოვი. „Собр. Трудов“. 3 ტ. 60 გვ), ან ხანძრიდან რამოდენიმე წლის შემდეგ (Zeiller. 1937. Vol. 1. P. 291).

მოციქულთა გარდა, რომში პირველი ღევნის შედეგად წამებულთა რიცხვში შედიან ქალები: ანატოლია, ფოტიდა, პარასკევა, კირიაკია, დომინა (ხს. 20 მარტს), ვასილისა და ანასტასია (დაახ 68 წელს. ხს. 15 აპრილს). ღევნა შემოიფარგლებოდა რომით და მისი ახლომდებარე შემოგარენით, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ იგი პროვინციებშიც განივრცო. ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიულ ტრადიციაში იმპ. ნერონის მოღვაწეობის დროს განეკუთვნებიან კერკირელი მოწამენი (სატორნი, იაკისქოლე, ფავსტიანე და სხვ; ხს. 28 აპრილს), მედიოლანში წამებულნი (გერვასი. პროტასი, ნაზარი და კელსი; ხს. 14 ოქტომბერს), ასევე ვიტალი რავენელი (ხს. 28 აპრილს) და მოწამე გაუდენციუსი მაკედონიის ქალაქ ფილიპედან (ხს. 9 ოქტომბერს).

პირველ ღევნასთან დაკავშირებით ძალზედ მნიშვნელოვანია ერთი საკითხი, რომელიც ნერონის დროს კანონმდებლობის შეცვლას ეხება ქრისტიანთა წინააღმდეგ. დასავლურ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა აზრი ორ ნაწილად იყოფა. პირველი ჯგუფის წარმომადგენელი - ფრანგი და ბელგიელი (კათოლიკე) სწავლულები თვლიან, რომ ნერონის ღევნის შემდეგ ქრისტიანობა აკრძალულ იქნა განსაკუთრებული საყოველთაო კანონით, „institutum neronianum“ რომლის შესახებაც ცნობას გვამღებს ტერტულიანე III საუკუნეში (tertull. Ad martyr. 5; Ad nat. 1.7) და ღევნები ამ აქტის შედეგს წარმოადგენდნენ. ასეთი აზრის მომხრენი აღნიშნავენ, რომ თავდაპირველად ქრისტიანებს ხანძრის გაჩაღებაში ადანაშაულებდნენ, რომლთა შესახებაც მიუთითა შეშინებულმა ნერონმა, ხოლო გამოძიების წარმოებისა და გამოკვლევის შემდეგ, განასხვავეს რა ქრისტიანთა რელიგია იუდეველებისაგან, დაადანაშაულეს ისინი კანონის დარღვევაში. ქრისტიანობას აღარ უყურებდნენ როგორც იუდაიზმის ერთ-ერთ განშტოებას და ამიტომ იგი აღარ ატარებდა ნებადართული რელიგიის სტატუსს (religio licita), რომლის ჩრდილქვეშაც არსებობდა იგი პირველი ათწლეულის განმავლობაში. ახლა ამ რელიგიის მიმდევრების წინაშე არჩევანის გაკეთების დრო დადგა: მათ, როგორც რომის მოქალაქეებს ან

მონაწილეობა უნდა მიეღოს იმპერიის ოფიციალურ პოლიტიკურ კულტურებაში, ან დევნას დაექვემდებარებოდნენ. იმდენად რამდენადაც ქრისტიანული სარწმუნოება დაუშვებლად მიიჩნევს წარმართულ კულტურებაში მონაწილეობას, ქრისტიანებს ისღა დარჩენოდათ, რომ კანონის დარღვევაში ყოფილიყვნენ ბრალდებულნი. Non licet esse christianos (ქრისტიანებად ყოფნა დაუშვებელია) - ასეთია „საყოველთაო კანონის“ აზრი (Zeiller. 1937. Vol.1. P. 295). შემდგომ ქ. ზეიე, განმარტავდა რა institutum Neronianum-ს უფრო როგორც ჩვეულებას, ვიდრე როგორც დაწერილ კანონს, შეიცვალა პოზიცია(lex); აღნიშნული თეორიის მოწინააღმდეგეებმა აღიარეს, რომ ახლებური განმარტება შედარებით ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან (Frend. 1965. P. 165). ქრისტიანებისადმი ასეთი დამოკიდებულება გასაგები ხდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ რომაელები ეჭვის თვალით უყურებდნენ ყველა უცხო ხალხთა კულტებს, რომელთა გავრცელებაც უხსოვარი დროიდან საზოგადოებისათვის მავნებლურად და საშიშად განიხილებოდა.

სხვა სწავლულები, უსვავდნენ რა ხაზს ქრისტიანთა დევნის ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ხასიათს, უარყოფდნენ „საერთო კანონის“ არსებობის ფაქტს, რომელიც გამოიცა ნერონის დროს. მათი თვალსაზრისით, საკმარისი იყო ქრისტიანების წინააღმდეგ მიმართული უკვე მიღებული კანონები, რომელნიც მიმართული იყო მკრეხელობის (sacrilegium) ანდა დიდებულთა შეურაცყოფის წინააღმდეგ (res maiestatis), რის შესახებაც საუბრობს ტერტულიანე (Tertull. Apol. Adv. gent. 10. 1). ეს თეზისი გამოითქვა კ. ნოიმანის მიერ (Neumann. 1890. S. 12). თუმცა არ არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ დევნის პერიოდში პირველი 2 საუკუნის განმავლობაში ქრისტიანებს ადანაშაულებდნენ ამ კანონთა დარღვევის გამო, რომელნიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთიმეორესთან (იმპერატორის ღმერთად არ აღიარებამ თავის თავში მოიცვა დიდებულთა შეურაცყოფის ბრალდება). მხოლოდ მესამე საუკუნიდან დაიწყო ქრისტიანთა იძულების მცდელობები, რომ ამ უკანასკნელთ მსხვერპლი შეეწირათ იმპერატორის ღვთაებისათვის. ქრისტიანებს მხოლოდ იმაში ადანაშაულებდნენ, რომ ისინი მსხვერპლს არ წირავდნენ იმპერიის ღვთაებებს, მაგრამ ესეც კი არ იყო საკმარისი, რომ დიდებულთა თვალში ისინი ათეისტებათ გამოჩენილიყვნენ, რადგან მათ მხოლოდ უცოდინარი მდაბიოები დევნიდნენ. სხვა ბრალდებებს - შავ მაგიას, სისხლის აღრევას, ბავშვების მოკვლას, რომლებიც ქრისტიანთა წინააღმდეგ მოსახლეობის გულისწყრომას იწვევდა, ოფიციალური მართლმსაჯულება (სასამართლო) არასდროს არ იღებდა მხედველობაში. ამიტომ არ შიძლება იმის მტკიცება, რომ თითქოს დევნები, უკვე არსებული კანონმდებლობის დანართის შედეგს წარმოადგენდნენ, რადგანაც მასში არ არსებობდა მკაცრად იურიდიული საფუძველი (დასკვნა), რომელიც ქრისტიანთა დევნისაკენ იქნებოდა მიმართული.

სხვა თეორიების თანახმად, დევნა, როგორც წესი, პროვინციების მმართველების, უმაღლეს მაგისტრატთა მიერ იძულებითი ზომების გამოყენების შედეგი იყო (coercitio), რათა საზოგადო წესრიგი შეენარჩუნებინათ, რაც იძლეოდა დაკავებისა და სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლებას მათ მიმართ, ვინც არღვევდა ამ წესრიგს. გამონაკლისს წარმოადგენდნენ რომის მოქალაქეები. (Mommsen. 1907). ქრისტიანები არ ემორჩილებოდნენ ხელისუფალთა ბრძანებებს, უარეყოთ რწმენა, რაც საზოგადო წესრიგის დარღვევას გულისხმობდა. თუმცა II საუკუნეში უმაღლესი მაგისტრატები აუცილებლად თვლიდნენ, რომ იმპერატორებთან ეთათბირად ქრისტიანთა თაობაზე. გარდა ამისა, მათი მოქმედების პროცედურა, რომელიც პლინიუს უმცროსის მიერ, იმპერატორ ტრაიანეს მიმართ მიწერილ წერილშია აღწერილი და რომელიც არაერთგზის დამტკიცდა შემდგომი იმპერატორების მიერ, გულისხმობდა სასამართლო გამოძიების ქმედებებს (cognitio) და არა საპოლიციო ხელისუფლების ჩარევას (coercitio).

ამდენად, რომში არსებული საკანონმდებლო ბაზის საკითხი, რომელიც დევნებს მიემართებოდა, ღიად რჩება. ქრისტიანთა წარმოდგენა საკუთარ თავზე, როგორც „ჭეშმარიტ ისრაელზე“ და მათი უარი, ებრაული სარიტუალო კანონების აღსრულების მიმართ, ორთოდოქს ებრაელებთან



მიმართებით კონფლიქტს იწვევდა. ქრისტიანები ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რომის ხელისუფალთა წინაშე, რომ მათ წინააღმდეგ გამოსულ საზოგადო ედიქტში არ არსებობდა არანაირი აუცილებლად შესასრულებელი წესი. მიღებული იყო, რომ ადამიანი დამორჩილებოდა რომელიმე არსებულ კანონს: თუკი იგი არ ემორჩილებოდა იუდეურ კანონმდებლობას, მაშინ იგი საკუთარი ქალაქის კანონმდებლობას უნდა დამორჩილებოდა. თუკი ადამიანი ამ ორივე კანონს უარყოფდა, მაშინ იგი ღმერთების მტრად მიიჩნეოდა. ასეთ გარემოებებში, ხელისუფალთა წინაშე წაყენებული ბრალდებები, პირადი მტრების მხრიდან, მათ შორის ორთოდოქს იუდეველების მხრიდანაც, ყოველთვის საშიში გახლდათ ქრისტიანთათვის.

იმპერატორ დომიციანეს დროს (96)

მისი 15 წლიანი მიმართველობის უკანასკნელ თვეებში დაიწყო დევნა. წმ. მელიტონ სარდიელი (ap. Euseb. Hist. eccl IV 26. 8) და ტერტულიანე (Apol. Adv. Gent. 5.4) მას მეორე „მდევნელ იმპერატორს“ უწოდებენ. დომიციანე მახსოვრობაში შემორჩა, როგორც პირქუში და ეჭვიანი ტირანი. მან სათანადო ზომები მიიღო იმისათვის, რომ ამოეძირკვა იუდეური წეს-ჩვეულებები, რომლებიც ღრმად იყო გავრცელებული რომში, არისტოკრატ სენატორთა შორის. ეს განზრახვა მას ჯერ კიდევ მაშინ მოუვიდა თავში, როდესაც მისი მამა - ვესპასიანე და მისი ძმა - ტიტუსი იყვნენ სათავეში. (Suet. Domit. 10. 2; 15. 1; Dio Cassius. Hist. rom. LXVII 14; Euseb. Hist. eccl. III 18. 4). მან მიზნად დაისახა სახელმწიფო ხაზინის შევსება და ამის გამო იგი დაუნდობელ საფინანსო პოლიტიკას ატარებდა, იუდეველებისაგან თანმიმდევრულად იღებდა განსაკუთრებულ გადასახადებს (fiscus judaicus) დიდრაქმის სახით, რომელიც ადრე იერუსალიმის ტაძრის შესაწირს წარმოადგენდა, ხოლო მისი დანგრევის შემდეგ - კაპიტოლიუმში იუპიტერის. ამ გადასახადებს არა მხოლოდ ისინი იხდიდნენ, „ვინც ღიად ეწეოდნენ იუდეური ცხოვრების წესს“, არამედ ისინიც, „ვინც მალავდნენ თავიანთ წარმომავლობას“, რათა ამისათვის განკუთვნილი გადასახადისათვის თავი აერიდებინათ (Seut. Domit. 12. 2). ხელისუფალთ შეეძლოთ, რომ ამ უკანასკნელთა რიცხვში ქრისტიანებიც მიეწერათ, რადგან როგორც გამოძიების დროს გაირკვა, უმრავლესობა მათგანი არაიუდეველი აღმოჩნდა (Болотов. Собръю трудов. Т. 3. С. 62-63; Zeiller. 1937. Vol. 1. P. 302). ეჭვიანი დომიციანეს მსხვერპლთა რიცხვში მისი ახლო ნათესავები აღმოჩნდნენ, რომელნიც უღმერთობაში (αθεοτης) და იუდეური წეს-ჩვეულებების აღსრულებაში იყვნენ ბრალდებულნი (Ιουδαϊσμοι): 91 წელს გლაბრიონი აწამეს, ხოლო 95 წელს იმპერატორის ბიძაშვილი, კონსული ტიტუს ფლავიუს კლემენსი. ამ უკანასკნელის მეუღლე - ფლავია დომიცილა გადაასახლეს. (Dio Cassius. Hist. Rom. LXVII 13-14). ევსები კესარიელი და ასევე IV საუკუნეში დაფიქსირებული რომის ეკლესიის გარდამოცემა ადასტურებენ, რომ დომიცილა „სხვა მრავალთან ერთად“ აწამეს „ქრისტეს აღმსარებლობისათვის“ (Euseb. Hist. eccl. III 18. 4; Hieron. Ep. 108: Ad Eustoch). წმ. კლიმენტი რომაელთან დაკავშირებით არ არსებობს არანაირი სარწმუნო ცნობები, რომ იგი აწამეს რწმენის გამო. ეს გარემოება არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მას ქრისტეს მოწამე უწოდოთ, თუმცა ძალიან ადრეულ ხანებში იყო მცდელობები, რომ ფლავიუს კლემენტი, პეტრე მოციქულის შემდეგ

რიგით მესამე რომის ეპისკოპოსი, წმ. კლიმენტისთან გაიგივებულიყო (Болотов. Собор. Трудову Т. 3. С. 63-64; Дюшен Л. История Церкви. М. 1912. Т. 1. С. 144).

ამჯერად დევნებმა რომის იმპერიის პროვინციები მოიცვა. იოანე მოციქულის გამოცხადებაში არსებობს ცნობა ხელისუფალთა, იუდეველთა და უბრალო ხალხის მხრიდან ქრისტიანთა დევნის შესახებ (გამოც. 13,17). მცირე აზიის ქალაქებში - სმირნაში და პერგამოში მორწმუნე მოწამეების სისხლიანი წარმოდგენები დაიდგა. (გამოც. 2. 8-13). მოწამეთა შორის იყო პერგამოს ეპისკოპოსი - მღვდელმოწამე ანტიპა (ხსენება 11 აპრილს). მოციქული იოანე ღვთისმეტყველი რომში ჩავიდა, სადაც იმპერატორის წინაშე დაამოწმა თავისი სარწმუნოება და ამის შედეგად იგი გადასახლებულ იქნა კუნძულ პატმოსზე (Tertull. De praescr. Haer. 36; Euseb. Hist. eccl. III 17; 18. 1, 20. 9). დევნა ქრისტიან პალესტინელებსაც შეეხო. II საუკუნის ისტორიკოსის, ჰეგესიპეს თანახმად, რომლის ცნობაც ევსები კესარიელმა შემოინახა (Ibid. III 19-20), იმპერატორმა დომიციანემ, მეფე დავითის შთამომავლობასთან და უფლის ხორციელ ნათესავებთან დაკავშირებით გამოძიება წამოიწყო.

პლინიუს უმცროსი, იმპერატორ ტრაიანესადმი მიწერილ წერილში (რომელიც ტრადიციულად 112 წლით თარიღდება) გვამცნობს ბითვინიის ქრისტიანთა შესახებ, რომელთაც უარყვეს სარწმუნოება, მის დრომდე 20 წლით ადრე, რაც ასევე შესაძლოა იმპერატორ დომიციანეს დევნასთან იყოს კავშირში (Plin. Jun. Ep. X 96).

იმპერატორ ტრაიანეს დროს (98 – 117)

რომის სახელმწიფოსა და ქრისტიანულ ეკლესიას შორის ახალი პერიოდი დაიწყო. სწორედ ამ იმპერატორმა, რომელიც არა მხოლოდ ბრწყინვალე სამხედრო მეთაური იყო, არამედ შესანიშნავი ადმინისტრატორიც, რომელსაც თანამედროვენი და შემდგომი თაობები „საუკეთესო იმპერატორად“ მიიჩნევდნენ (optimus princeps), მოახდინა ფორმულირება, ჩვენ დრომდე მოღწეული სამართლებრივი საძირკვლისა, რომელიც ქრისტიანთა დევნისაკენ იყო მიმართული. პლინიუს უმცროსის წერილებს შორის, მოიპოვება მისი მიმართვა ტრაიანესადმი ქრისტიანებთან დაკავშირებით და იმპერატორის საპასუხო გზავნილი, დადგენილება - დოკუმენტი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში განსაზღვრავდა ურთიერთობას, რომის ხელისუფლებასა და ახალ რელიგიას შორის (Plin. Jun. Ep. X 96-97).

პლინიუს უმცროსი, დაახლოებით 112-113 წლებში ტრაიანეს მიერ გაგზავნილ იქნა ბითვინიაში, ექსტრაორდინალური ლეგატის ხარისხში (მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთი), სადაც მას დაპირისპირება მოუხდა ქრისტიანთა საკმაოდ დიდ ნაწილთან. პლინიუსი აღიარებდა, რომ ადრე არასოდეს არ იღებდა მონაწილეობას სამართალწარმოებებში, რომელნიც ქრისტიანებს უკავშირდებოდა, მაგრამ მოუხდა რა მათთან შეხება, იგი ქრისტიანებს უკვე დამნაშავეებად მიიჩნევდა და მათ დასჯას ითხოვდა. იგი არ აწარმოებდა სპეციალურ გამოძიებას, არამედ ფარულ მოკვლევას (cognitio), რომელიც დამნაშავეთა 3 ჯერად დაკითხვას მოიცავდა. პლინიუსი ყველას სიკვდილით სჯიდა, ვინც ჯიუტად იცავდა ქრისტიანობას. იგი წერდა: „მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ქრისტიანებს რაც არ უნდა ეღიარებინათ, მოურჯულებლობისა და სიჯიუტის გამო მაინც უნდა დამესაჯა ისინი“ (Ibid. X 96. 3).

ცოტა ხნის შემდეგ, პლინიუსს ანონიმური დასმენების წერილები მისდიოდა. გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ეს დასმენები არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ამჯერად რამდენიმე ბრალდებული გამოტყდა, რომ ოდესღაც ისინი იყვნენ ქრისტიანები, მაგრამ მათგან ზოგმა 3 წლის წინ, ზოგმაც 20 წლის წინ უარყო ეს რწმენა. პლინიუსის აზრით, რომელიმე მათგანი დამნაშავეც რომ ყოფილიყო, ასეთი ახსნა-განმარტება მათი შეწყალების უფლებას იძლეოდა. უდანაშაულობის დასამტკიცებლად, პლინიუსმა რიტუალური ხასიათის გამოცდა მოუწყო დამნაშავეებს: მათ საკმეველი უნდა ეკმიათ და ღვინო უნდა შეეწირათ რომაული ღმერთებისა და იმპერატორის გამოსახულების წინაშე, ასევე ქრისტე უნდა დაეგმოთ და დაეწყევლათ. ყოფილი ქრისტიანები



ყვებოდნენ, რომ ისინი განსაზღვრულ დღეს, მზის ამოსვლამდე იკრიბებოდნენ და გალობით განადიდებდნენ ქრისტეს, როგორც ღმერთს. გარდა ამისა, მათ ფიცით აღუთქვეს ერთმანეთს, რომ არ ჩაიდენდნენ არანაირ დანაშაულს: არ მოიპარავდნენ, არ იმრუშებდნენ, ცილს არ დასწამებდნენ არავის, არ დამალავდნენ საიდუმლო ინფორმაციას. შეკრების შემდგომ ისინი უსხდებოდნენ საერთო ტრაპეზს, რომელიც მოიცავდა რეგულარულ საჭმელს. ეს ყოველივე აქარწყლებდა შავი მაგიის, სისხლის აღრევის და ბავშვების მოკვლის ბრალდებებს, ტრადიციულად რომელი ბრალდებებიც აღძრავდა ხოლმე მდაბიო ხალხს, პირველი ქრისტიანების წინააღმდეგ. ასეთი ინფორმაციის დასამტკიცებლად, პლინიუსმა ორი მონა დაკითხა, რომელნიც „მსახურებად“ იწოდებოდნენ (დიაკონისებად - ministræ) და „ვერაფერი ვერ აღმოაჩინა, გარდა განუზომლად დამახინჯებული ცრურწმენისა“, რომლის ატანაც დაუშვებელი იყო (Ibid. X 96. 8).

გაჭიანურებულ სასამართლო პროცესებზე (რომლებიც ქრისტიანებს ეხებოდათ) გამოირკვა, რომ როგორც პროვინციებში, ასევე ქალაქებში მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი „მავნე ცრურწმენით შეპყრობილი აღმოჩნდა“. პლინიუსმა შეწყვიტა გამოძიება და იმპერატორს მიმართა კითხვებით: ბრალდებულნი მხოლოდ იმის გამო უნდა დასჯილიყვნენ, რომ ისინი საკუთარ თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ, თუ იმ დანაშაულებების გამო, რომლებიც ქრისტიანებად სახელდებულებს უკავშირდებოდათ; უნდა ეპატიებინა თუ არა სინანულისა და სარწმუნოების უარყოფის შემთხვევაში; უნდა გაეთვალისწინებინა თუ არა დამნაშავეთა ასაკი? ძალიან დაუნდობელი ხომ არ იყო ზომები, რომელთაც ქრისტიანების წინააღმდეგ იღებდნენ?

საპასუხო წერილში ტრაიანე მხარს უჭერდა თავის ნაცვალას და ასევე თავისუფლად მოქმედების ნებას რთავდა მას, რადგან ასეთი სახის საქმეებისათვის „საერთო განსაზღვრული წესის დადგენა შეუძლებელი იყო“ (ibid. X 97). იმპერატორმა განაჩინა, რომ მოქმედებები, რომელნიც ქრისტიანებისადმი იქნებოდა მიმართული, კანონის საზღვრებში ყოფილიყო: ხელისუფლებას არ უნდა აეღო თავის თავზე ინიციატივა, ქრისტიანთა ძებნის შესახებ, მკაცრად აიკრძალა ანონიმური დასმენები. დაუმროჩილებელი ქრისტიანების წინააღმდეგ, რომელნიც ღიად იყვნენ მხილებულნი, იმპერატორმა განაჩინა, რომ ასაკისდა მიუხედავად ყველა უნდა ეწამებინათ მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ადამიანები საკუთარ თავს ქრისტიანებად სახელდებდნენ, ხოლო ვინც სარწმუნოებას განუდგებოდა, ყველა უნდა გაენთავისუფლებინათ. ამისათვის საკმარისი იყო, რომ ბრალდებულს მსხვერპლი შეეწირა რომაული ღმერთებისათვის. რაც შეეხება პლინიუსის მიერ მიღებული დადგენილებების საკითხს, რომელიც იმპერატორის გამოსახულებისადმი თაყვანისცემას და ქრისტეს სახელისადმი წარმოთქმულ გმობას შეეხებოდა, იმპერატორმა დუმილით აუარა გვერდი.

ასეთი რესკრიპტის მიღების შედეგად, ერთის მხრივ შესაძლოა ქრისტიანები აკრძალული რელიგიის ადეპტობის ბრალდებით დაესაჯათ, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლოა მათთვის ზიანი არც მიეყენებინათ, რადგან ქრისტიანობა არ ითვლებოდა ისეთივე მძიმე დანაშაულად, როგორც ქურდობა ან ყაჩაღობა. რომის ხელისუფლების წარმომადგენლებს პირველ რიგში სწორედ ამ დანაშაულებებზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება. ქრისტიანთა ძებნა საჭიროებას არ წარმოადგენდა, ხოლო სარწმუნოების უარყოფის შემთხვევაში, ისინი უნდა

გაენთავისუფლებინათ. ტრაიანეს მიერ პლინიუსისადმი მიწერილი ეს რესკრიპტი, როგორც იმპერატორის პასუხი მისი ჩინოვნიკისადმი გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, არ გახლდათ სავალდებულო მთელი იმპერიისადმი, თუმცა პრეცედენტს ნამდვილად წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში შესაძლოა გამოჩენილიყო ხოლმე ანალოგიური კერძო რესკრიპტები, რომელნიც სხვა პროვინციებისადმი იქნებოდა განკუთვნილი. შესაძლოა, რომ პლინიუს უმცროსისა და იმპერატორის მიმოწერის პუბლიკაციების გამოქვეყნების შემდეგ, ეს დოკუმენტიც გასაჯაროვდა და რომის ხელისუფლებასა და ქრისტიანებს შორის არსებული ურთიერთობის იურიდიულ ნორმასაც წარმოადგენდა. „ისტორია მიგვანიშნებს ცალკეულ კერძო შემთხვევებზე, რომლებშიც დაფიქსირებულია ფაქტები იმასთან დაკავშირებით, რომ რესკრიპტის მოქმედება იმპერატორ დიოკლიტიანეს დრომდე გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დეკიუსის დევნის დროს თავად ხელისუფლება იღებდა თავის თავზე ინიციატივას, ქრისტიანთა დევნის საქმესთან დაკავშირებით“ (Болотов. Собр. Трудов. Т. 3. С. 79).

გარდა უცნობი ქრისტიანებისა, ბითინიისა და პონტოს პროვინციებში, სადაც მოქმედებდა პლინიუს უმცროსი, ტრაიანეს დროს 120 წლის ასაკში მოწამეობრივად აღესრულა მღვდელმთავრად სვიმეონი, რომელიც გახლდათ მაცხოვრის ხორციელი ნათესავისა და იერუსალიმის ეპისკოპოსის - კლეოპას ვაჟი (ხსენება 27 აპრილს. Euseb. Hist. eccl. III 32. 2-6; ჰეგესიპეს ცნობების თანახმად). ტრადიციულად მისი გარდაცვალების თარიღად დასახელებულია 106/7 წლები; მაგრამ არსებობს სხვა თარიღებიც: დაახ. 100 წელი. (Frend. 1965. P. 185, 203, n. 49) და 115-117 წლები. (Болотов. Собр. Трудов. Т. 3. С. 82). რამოდენიმე გვიანდელი წყაროს თანახმად (არა უგვიანეს IV საუკუნისა), ამავე წლებში ყირიმის ნახევარკუნძულზე გადაასახლეს და ყირიმშივე მოწამეობრივად აღესრულა, ლინასა და ანაკლეპტის შემდეგ მესამე რომის პაპი - კლიმენტი; ევსები კესარიელი გვამცნობს, რომ კლიმენტი ტრაიანეს მმართველობის მესამე წელს გარდაიცვალა (დაახ. 100; Euseb. Hist. eccl. III 34). ასევე ცნობილია ევსტათი პლაკიდასა და მისი ოჯახის წევრების წამების შესახებ, რომელიც რომში მოხდა, დაახ. 118 წელს. (ხსენება 20 სექტემბერს).

იმპერატორ ტრაიანეს დროინდელი დევნის მთავარ ფიგურას, ანტიოქიის ეპისკოპოსი, მღვდელმთავრად ეგნატე ღმერთშემოსილი წარმოადგენს. მისი მოწამეობის აქტები, რომლებიც ორი რედაქციით შემოგვრჩა, ნაკლებად სარწმუნონი არიან. ჩვენ ასევე შემოგვრჩა თავად წმ. ეგნატეს 7 ეპისტოლე, რომელთა ადრესატსაც, წმ. მღვდელმთავრად პოლიკარპე სმირნელი, მცირე აზიური ქრისტიანული თემები და რომაელი ქრისტიანები წარმოადგენდნენ. ეს ეპისტოლეები დაიწერა ხანგრძლივი მგზავრობისას, როდესაც წმ. ეგნატე დაცვის თანხლებით ანტიოქიიდან, მცირე აზიის სანაპიროსა და მაკედონიის გავლით, რომში გადაყავდათ, სადაც მან დაასრულა ამქვეყნიური გზა (შუა საუკუნეებში ამ გზას, წმ. ეგნატეს საპატივცემულოდ via egnatia უწოდეს). ამ მოგზაურობისას მას თან ახლდნენ თანამოღვაწენი ზოსიმე და რუფი. იმპერატორმა ტრაიანემ დაკებთან ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა და ამ გამარჯვების აღნიშვნის დროს წმ. ეგნატე ლომებს მიუგდეს საჯიჯგნად. იტალიაში იძულებითი მოგზაურობის დროს, იგი პირობითი თავისუფლებით სარგებლობდა. მან მოინახულა მღვდელმთავრად პოლიკარპე სმირნელი, ასევე მას შეხვდნენ მცირეაზიური ეკლესიების წარმომადგენლები, რომელთაც ანტიოქიელი მღვდელმთავრის მიმართ, პატივისცემისა და დიდი სიყვარულის გამოხატვა სურდათ. საპასუხოდ, წმ. ეგნატე მხარს უჭერდა ქრისტიანებს, იგი აფრთხილებდა მათ ახლად აღმოცენებული დოკეტიზმის საფრთხის შესახებ, ითხოვდა მათ ლოცვებს, რადგან თუკი იგი ჭეშმარიტად „ქრისტეს პატიოსანი პური“ გახდებოდა“ (Ign. Ep. Ad rom. 4), მაშინ ეღირსებოდა, რომ მხეცების ლუკმა გამხდარიყო და ღმერთამდე მიეღწია. ევსები თავის „ქრონიკაში“ ამ მოვლენას 107 წლით ათარიღებს; ვ. ბოლოტოვი 115 წლით, რადგან იმპერატორის პართიულ (პართია) კამპანიასთან აკავშირებს მას (Болотов. Собр. Трудов. Т. 3. С. 80-82).



ტრაიანეს დროს არსებული დევნა მაკედონიის ქრისტიანებმაც გამოსცადეს. ქრისტიანთა დევნის გამოძახილი, რომელიც ამ პროვინციაში ხდებოდა, აღბეჭდილია მღვდელმოწამე პოლიკარპე სმირნელის ეპისტოლეში, რომელიც მან ქალაქ ფილიპეში მცხოვრებ ქრისტიანებს მისწერა. იგი მოთმინებისაკენ მოუწოდებდა ქრისტიანებს: „რომელი მოთმინებაც თქვენ საკუთარი თვალთ დაინახეთ, არა მხოლოდ ეგნატე ღმერთშემოსილში, ზოსიმესა და რუფში, არამედ იმ ადამიანთა შორის, რომელნიც თქვენს გარშემო იმყოფებიან“ (Polycarp. Ad Phil. 9). ამ მოვლენის ქრონოლოგია არ გახლავთ ცნობილი, სავარაუდოდ იგი იმ დროს მოხდა, როდესაც ეგნატე ღმერთშემოსილი აწამეს.

იმპერატორ ადრიანეს დროს (117-138)

ტრაიანეს მემკვიდრე, 124-125 წლებში მიუთითებდა აზიის პროკონსულ მინიციუს ფუნდანს ქრისტიანებთან დამოკიდებულების ხასიათზე. ამ მოვლენამდე ცოტა ხნით ადრე, ამავე პროვინციის ყოფილმა მმართველმა ლიცინიუს გრანიანუსმა წერილით მიმართა იმპერატორს, რომელშიც აღნიშნავდა, რომ „უსამართლო იყო ქრისტიანთა წამება ყოველგვარი ბრალდებისა და სასამართლოს გარეშე (Euseb. Hist. eccl. IV 8. 6). სავსებით შესაძლებელია, რომ პროვინციის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ჰქონოდა დაპირისპირება, მდაბიო ხალხის მოთხოვნებთან, რომლებიც ითხოვდნენ, რომ ყოველგვარი იურიდიული ფორმალობების დაცვის გარეშე ედევნათ მათთვის უცხო რელიგიის წარმოამდგენლები, რომელნიც უარყოფდნენ მათ ღმერთებს. ადრიანე საპასუხო წერილში წერდა: „თუკი პროვინციებში მაცხოვრებლები, ქრისტიანთა წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების დადასტურებას შეძლებენ და წარსდგებიან სასამართლოს წინაშე, მაშინ ასეთი გზის მეშვეობით იმოქმედონ და არა მოთხოვნებითა და ყვირილით. ასე უფრო შესაფერისია, რომ ბრალდების შემთხვევაში გამოძიების წარმოება დაიწყოს. თუკი ვინმე შეძლებს საკუთარი ბრალდების დადასტურებას, რომ ისინი (ქრისტიანები) კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, მაშინ შესაბამისად, დანაშაულის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებულია სასჯელი. თუკი ვინმემ დასმენის დროს მოიტყუა და დეზინფორმაცია გაავრცელა, მაშინ ბოლო მოეღოს ასეთი სახის სისამაგლესა და უმსგავსობას“ (Euseb. Hist. eccl. IV 9. 2-3). ასეთი სახით ადრიანეს ახალი რესკრიპტი განსაზღვრავდა ნორმას, რომელიც მისი წინამორბედის მიერ იყო დაფუძნებული: ანონიმური დასმენები აკრძალულია, ქრისტიანთა წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავდა, თუკი ბრალმდებელიც ესწრებოდა პროცესს. ასეთი გარემოების ძალით, ქრისტიანებმა გარკვეული სახის თავდაცვა მოიპოვეს, რადგან თუკი ბრალმდებელის ბრალდება არ იქნებოდა დამტკიცებული, მაშინ ბრალმდებელს, როგორც ცილისმწამებელს საშინელი ხვედრი ელოდა. გარდა ამისა, ქრისტიანთა მიმართებით წამოწყებული პროცესი მოითხოვდა განსაზღვრული მატერიალური ხარჯის გაღებას ბრალმდებელის მხრიდან, რადგანაც საჩივრის მიღება მხოლოდ პროვინციის მმართველს შეეძლო, რომელსაც სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება ჰქონდა მინიჭებული და ამიტომ ყველა არ იყო მზად, რომ შორეულ ქალაქში გამგზავრებულიყო, სადაც ხანგრძლივი და დიდი დანახარჯის მქონე სამართალწარმოების დაწყება მოუწევდა.

II საუკუნეში მცხოვრებ მრავალ ქრისტიანს ეგონა, რომ ადრიანეს რესკრიპტი დაიცავდა მათ. ალბათ, ასე იგებდა ამ რესკრიპტს მოწამე იუსტინე ფილოსოფოსი, რომელმაც მისი ტექსტი თავის პირველ აპოლოგიაში მოიყვანა (68 თავი). მელიტონ სარდიელი ამ რესკრიპტს, როგორც ქრისტიანთათვის წყალობის მიმნიჭებელს, ისე იხსენებს (ap. Euseb. Hist. eccl. IV 26. 10). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადრიანეს რესკრიპტი პრაქტიკაში ახლოს იდგა შემწყნარებლობასთან, ქრისტიანობა კვლავინდებურად კანონდარღვევად მიიჩნეოდა. ადრიანეს მმართველობის ბოლოს, მოწამეობრივად აღესრულა რომის პაპი - წმ. ტელესფორი (Euseb. Hist. eccl. IV 10; Iren. Adv. Hear. III 3). სწორედ ამ დროს, უკვე ნათელდებული იუსტინე ფილოსოფოსი, თავის მეორე აპოლოგიაში (12 თავი) წერს მოწამეთა შესახებ, რომელთაც გავლენა იქონიეს მის გადაწყვეტილებაზე და სარწმუნოებაში განმტკიცებაზე. ცნობილი არიან სხვა მოწამენიც, რომელნიც ადრიანეს დროს ეწამნენ: ესპერი და ზოია ატალიელები (ხსენება 2 მაისს), ფილიტე, ლიდია, მაკედონი, კრონიდი, თეოპრეპი და ამფილოქე ილირიელები (ხსენება 23 მარტს). საეკლესიო გარდამოცემა, იმპერატორ ადრიანეს ეპოქასთან აკავშირებს პისტის, ელპიდის, ალაპის და მათი დედის - სოფიას წამებას რომში. (ხსენება 17 სექტემბერს).

ადრიანეს დროს, იუდეველთაგან სერიოზული დევნა განიცადეს პალესტინელმა ქრისტიანებმა, რადგან მათ მონაწილეობა არ მიიღეს 132-135 წლების იუდეველთა ანტირომაულ აჯანყებაში. მოწამე იუსტინე გვამცნობს, რომ იუდეველთა ხელმძღვანელი ბარ-კოხბა „*მხოლოდ ქრისტიანთა საშინელ წამებას ლამობდა, თუკი ისინი არ უარყოფდნენ იესო ქრისტეს და არ ამაგებდნენ მას*“ (Iust. Martyr. I Apol. 31. 6). ერთ წერილში, რომელიც არქეოლოგებმა 1952 წელს ვადი-მურაბატის რაიონში აღმოაჩინეს (იერუსალიმიდან 25 კილომეტრში სამხრეთ აღმოსავლეთით), ბარ კოხბა ვინმე „გალილეელებს“ ახსენებს. (Allegro J. M. The Dead Sea Scrolls. Harmondsworth, 1956. Fig. 7). უ. ფრენდის შეხედულებით, შესაძლოა ეს წერილი, იუსტინე ფილოსოფოსის ცნობის ირიბი დადასტურება აღმოჩნდეს (Friend. P. 227-228, 235, n. 147; ბარ-კოხბას წერილის თაობაზე არსებული დისკუსიის შესახებ. RB. 1953. Vol. 60. P. 276-294; 1954. Vol. 61. P. 191-192; 1956. Vol. 63. P. 48-49).

ანტონიუს პიუსის დროს (138-161)

ადრიანეს რელიგიური ხასიათის პოლიტიკა გაგრძელდა. მან არ შეცვალა მკაცრი ხასიათის კანონმდებლობა ქრისტიანთა წინააღმდეგ, ანტონინე არ უშვებდა, რომ მდაბიო ხალხს გაეგრძელებინათ თავიანთი ქმედებები. წმ. მელიტონ სარდიელი შეგვახსენებს იმპერატორის ოთხი რესკრიპტის შესახებ, რომელთა ადრესატებიც ქალაქები - ლარისა, თესალონიკი და ათენი გახლდათ, ასევე აქაიის პროვინციალური მმართველობა. „ჩვენთან მიმართებაში არ იყოს არანაირი ინოვაცია“ (Euseb. Hist. eccl. IV 26. 10). ჩვეულებრივ ანტონიუს პიუსის სახელს უკავშირებენ ასევე ერთ რესკრიპტს, რომლის ადრესატიც აზიური პროვინციები გახლდათ. ამ რესკრიპტის ორი რედაქცია არსებობს: პირველი მათგანი წარმოადგენს იუსტინე მარტვილის პირველი აპოლოგიის დანართს, ხოლო მეორე რედაქცია შემორჩენილია მარკუს ავრელიუსის სახელით, ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“ (Lbid. IV 13. 1-7). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მისი უტყუარობის შესახებ ადოლფ ფონ ჰარნაკი იუწყებოდა (Harnack A. Das Edict des Antoninus Pius// Tu. 1895. Bd. 13. H. 4. S 64), მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნულ რესკრიპტს ნაყალბევად მიიჩნევს. შესაძლებელია, რომ იგი რომელიმე უცნობი ქრისტიანის მიერ იყოს დაწერილი II საუკუნეში. ავტორს, წარმართებთან მიმართებით, მაგალითად მოჰყავს ქრისტიანთა რელიგიური ერთგულება, ხაზს უსვამს მათ მორჩილებას, მის მიერ გამოთქმული შეხედულებები წარმართული ღმერთების შესახებ, არ ეთანხმება არც ანტონიუს პიუსის და მითუმეტეს არც მარკუს ავრელიუსის შეხედულებებს (Coleman-Norton. 1966. Vol. 1. P. 10). მთლიანობაში დოკუმენტი არ ეთანხმება იმ რეალურ მდგომარეობას, რომელიც ქრისტიანებს გააჩნდათ ამ პერიოდში რომის იმპერიაში.



ანტონიუს პიუსის დროს რომში, დაახლ. 152-155 წლებში, წარმართთა ხელს შეეწირნენ პრესვიტერი პტოლემეოსი და 2 საერო პირი, ორივე მათგანს ერქვა ლუკა (ხსენება 19 ოქტომბერს). მათი სასამართლოს შესახებ, ცნობებს გვაწვდის წმ. იუსტინე მარტვილი (Iust. Martyr. II Apol. 2): ერთმა ცნობილმა რომაელმა, რომელიც გაღიზიანებული იყო მისი მეუღლის ქრისტიანთა რიგებში გადასვლის გამო, რომის პრეფექტ - კვინტუს ლოლიუს ურბანთან დაადანაშაულა პტოლემეოსი, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მას. ამ პროცესის მსვლელობას 2 ახალგაზრდა ქრისტიანი აკვირდებოდა. ისინი შეეცადნენ, რომ პრეფექტთან გაეპროტესტებინათ ასეთი სახის განაჩენი, რადგან მათი შეხედულებით, ბრალდებულს არანაირი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი, მას ბრალი მხოლოდ იმაში მიუძღვოდა, რომ იგი ქრისტიანი გახლდათ. მცირე სასამართლო პროცესის შემდეგ, ისინიც წამებას დაექვემდებარნენ.

ანტონიუს პიუსის მმართველობისას, სიმულვილის გამო აბუნტებული მდაბიო ხალხის გამო, წმ. პოლიკარპე სმირნელი აწამეს. არსებობს სანდო ჩანაწერი მისი წამების შესახებ. იგი დაცულია ერთ ეპისტოლეში, რომელიც გაიგზავნა ქალაქ სმირნაში, „ფილომელიაში არსებულ საღვთო ეკლესიაში და ყველა იმ ადგილას სადაც თავშესაფარი ჰპოვა წმიდა კათოლიკე ეკლესიამ (Euseb. Hist. eccl. IV 15. 3-4). პოლიკარპე სმირნელის წამების თარიღი საკამათოა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ისტორიკოსების უმრავლესობა ამ მოვლენას, ანტონიუს პიუსის მმართველობის უკანასკნელ წლებთან აკავშირებს. 155 წელთან - ა. ჰარნაკი (A. Harnack; Zeiller. 1937. Vol 1. P 311), 156 წელთან - ე. შვარცი, 158 წელთან - ვ. ბოლოტოვი (Болотов. Собр. Трудов. Т. 3. С. 93-97). ტრადიციულად მიღებულია 167 წლის 23 თებერვალი, რომელიც დაფუძნებულია ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიაზე“ და „ქრონიკაზე“ (Eusebius. Werke. B; 1956. Bd. 7. S. 205; Euseb. Hist. eccl. IV 14. 10). ამ თარიღს რამოდენიმე მკვლევარიც იზიარებს (Frend. 1965. P. 270 ff). ქალაქ ფილადელფიაში (მცირე აზია) დაპატიმრებულ იქნა 12 ქრისტიანი, რომელნიც ქ. სმირნაში გააგზავნეს ყოველწლიურ თამაშებზე, სადაც ისინი ერთ-ერთ ცირკში ცხოველებს მიუგდეს ხალხის გასართობად. დაკავებულთაგან ერთ-ერთი, ფრიგიელი კვინტუსი უკანასკნელ წუთებში შეშინდა და მსხვერპლი შესწირა წარმართულ ღვთაებებს, მაგრამ გაშმაგებული ბრბო ამ სანახაობით არ დაკმაყოფილდა და ისინი „აზიის მასწავლებლს“ და „ქრისტიანთა მამას“ ეპისკოპოს პოლიკარპეს ითხოვდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ დათმობაზე წასულიყვნენ, მათ იპოვეს პოლიკარპე და ამფითეატრში მიიყვანეს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მღვდელმონაქმე პოლიკარპე მტკიცედ იდგა სარწმუნოებაზე: დაკითხვის დროს წმ. პოლიკარპემ უარი განცხადა იმპერატორის ფორტუნაზე დაფიცებაზე და ქრისტეს გამობაზე, რისკენაც მოუწოდებდა მას აზიის პროკონსული, სტასიუს გუარდრატი. მოხუცმა ეპისკოპოსმა ასე უპასუხა მას: „86 წელია მას ვემსახურები და არასოდეს მომქცევია უსამართლოდ. განა შემიძლია, რომ ჩემი მეუფე დავგმო, რომელმაც გადამარჩინა მე?“ (Euseb. Hist. eccl. IV 15. 20). წმ. პოლიკარპემ აღიარა, რომ იგი ქრისტიანი გახლდათ და პროკონსულის მუქარებისა და მომბაზრებელი საუბრის შემდგომ, ცოცხლად დაწვა მიუსაჯეს მას (Ibid. IV 15. 29).

II საუკუნის შუა წლებიდან, სხვადასხვა პროვინციების რომაელ მმართველებს სულ უფრო მეტად უწევდათ ანგარიშის გაწევა ქრისტიანობის გავრცელების სოციალურ ფაქტორთან,

რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენდა დევნების ინტენსიურობასა და ხასიათზე. ამ დროისათვის ნაკლებად ცნობადი იუდეური სექტიდან, როგორც მიიჩნევდნენ ქრისტიანებს მათი თანამედროვენი I საუკუნის ბოლოს, ეკლესია გავლენიან ორგანიზაციად იქცა, რომლის იგნორირებაც შეუძლებელი გახლდათ. ქრისტიანული თემები იმპერიის ყველაზე შორეულ მხარეებშიც კი აღმოცენდა, ისინი აქტიურად ეწეოდნენ მისიონერულ საქმიანობას და ამის შედეგად უამრავი წარმართი ადამიანი გადმოდიოდა ქრისტიანობაზე. ეკლესია წარმატებით (თუმცა ზოგჯერ მტკივნეულად) უძკლავდებოდა არა მხოლოდ წარმართული სამყაროს ზეწოლის შედეგებს (რაც გარეგნულ ხასიათს ატარებდა), არამედ შიდა განხეთქილებებსაც, რაც გნოსტიციზმისა და მონტანიზმის გავლენებს უკავშირდებოდა. ამ პერიოდში რომაული ხელისუფლება არ იღებდა საკუთარ თავზე ეკლესიის დევნის ინიციატივას და დიდი ძალისხმევით შედეგად იგერიებდა სახალხო აჯანყებებს, რომელნიც ქრისტიანთა წინააღმდეგ იყო მიმართული. შავი მაგიის, კანიზალიზმის, სისხლის აღრევის და უღმერთობის ტრადიციულ ბრალდებებს, სტიქიური უბედურებების ბრალდებაც დაემატა, რომლებშიც, წარმართთა თვალსაზრისით, ღმერთების რისხვა ვლინდებოდა, ამ რისხვის მიზეზი კი ქრისტიანთა გამოჩენა გახლდათ იმპერიაში. როგორც წერდა ტერტულიანე, „თუკი ტიბრი ნაპირებიდან გადმოვა, ხოლო ნილოსი არ გადმოვა ნაპირებიდან, თუკი გვალვა, მიწისძვრა, შიმშილი ან შავი ჭირია, მაშინვე ყვირიან: „ქრისტიანები ლომებს“ (Tertull. Apol. Adv. gent. 40. 2). ბრბო მოითხოვდა ხელისუფლებისაგან და ზოგჯერ აღწევდნენ კიდევ მიზანს, რომ დევნა განახლებულიყო ყოველგვარი ფორმლობების გარეშე. განათლებული წარმართებიც ქრისტიანთა წინააღმდეგ იბრძოდნენ: ზოგიერთი ინტელექტუალი, მარკუს კორნელიუს ფრონტონის მსგავსად, რომელიც დაახლოებული გახლდათ იმპერატორ მარკუს ავრელიუსთან, მზად იყვნენ, რომ ქრისტიანთა „ამაზრუნენი დანაშაულებები“ დაეჯერებინათ (Min. Fel. Octavius. 9), მაგრამ ინტელექტუალ რომაელთა დიდი ნაწილი არ იზიარებდა ამგვარ აზრებს. თუმცა, მათ მიაჩნდათ, რომ ახალი რელიგია საფრთხეს უქმნიდა ტრადიციულ ბერძნულ-რომაულ კულტურას, მის სოციალურ და რელიგიურ წესრიგს, ამიტომ ისინი ქრისტიანებს არაკანონიერი საიდუმლო საზოგადოების წევრებად, ან „საზოგადოებრივი სისტემის წინააღმდეგ წამოწყებული აჯანყების“ მონაწილეებად მიიჩნევდნენ. (Orig. Contr. Cels. I 1; III 5). უკმაყოფილონი იმ ფაქტით, რომ მათი პროვინციები „უღმერთოებით და ქრისტიანებით ივსებოდა“ (Lucianus Samosatenu. Alexander sive pseudomantis. 25// Lucian/ Ed. A. M. Harmon. Camb 1961. Vol. 4), ისინი ღიად ამართლებდნენ ხელისუფლების უმოწყალო ანტიქრისტიანულ ქმედებებს. იმპერიის ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები, როგორც გახლდათ ლუკიანე, არ იზღუდებოდნენ ეკლესიის სწავლების ან სოციალური სტრუქტურის დაცინვით, რადგან მათ ქრისტიანთა თემი „დედაბრების, ქვრივების და ობოლი ბავშვების“ თავყრილობად მიაჩნდათ (Lucianus Samosatenu. De morte peregrine. 12// Ibid. Camb., 1972. Vol. 5). ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლებს არ ეძლეოდათ საშუალება, რომ ბერძნულ-რომაული ელიტარული საზოგადოების წევრები გამხდარიყვნენ (Orig. Contr. Cels. III 52).

იმპერატორ მარკუს ავრელიუსის დროს (161-180)

ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა არ შეიცვალა. უწინდებურად მოქმედებდა ანტიქრისტიანული კანონმდებლობა, რომელიც ანტონინეს დროს ჩამოყალიბდა; სისხლისმღვრელი დევნები ერთდროულად მიმდინარეობდა იმპერიის მრავალ ადგილას. წმ. მელიტონ სარდიელი იმპერატორისადმი მიწერილ თავის აპოლოგიაში გვაუწყებს, რომ ასიაში გაუგონარი ამბები ხდებოდა: „...ახალი ედიქტების თანახმად, ღვთისმოსავ ადამიანებს დევნიან და აწამებენ; უსირცხვილო დამსმენები და სხვისი ქონების მოყვარულნი გამოდიან რა ამ ედიქტებიდან, ღიად სჩადიან დანაშაულებებს, ისინი აყაჩაღებენ უდანაშაულო ადამიანებს



დღისით და ღამით“. აპოლოგეტი სამართლიანი ქმედებებისაკენ მოუწოდებს იმპერატორს და ექვიც კი ეპარება, რომ ნამდვილად მისი განკარგულებით გამოიცა „ახალი ედიქტი, რომლის გამოცემა ბარბაროსების (მათი მტრების) წინააღმდეგაც კი არ ეგებოდა“ (ap. Euseb. Hist. eccl. IV 26). ამ ცნობის საფუძველზე, რამოდენიმე ისტორიკოსს გამოაქვს დასკვნა, რომ „მარკუს ავრელიუსის დევნები საიმპერატორო ბრძანების სახელით აღესრულებოდა, რომელიც ამტკიცებდა დევნას, ქრისტიანთა წინააღმდეგ“ და რომ მათ წინააღმდეგ ადრე გამოცემული ნორმატიული აქტები სრულებითაც არ იცვლებოდა (Лебедев С. 77-78). მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამ პერიოდში ნამდვილად ხდებოდა ხალხის ანტიქრისტიანული გამოსვლების აქტივიზაცია, ასახელებენ ფაქტებს, თუ როგორ გამარტივდა სასამართლო გამოძიება, სამძებრო სამუშაოები და ანონიმური დასმენების მიღება, მაგრამ სასჯელის ხასიათი უცვლელი რჩებოდა. თუმცა, წმ. მელიტონის სიტყვებიდან რთულია იმის გაგება, თუ რა ჰქონდა მას მხედველობაში: იმპერიის საერთო კანონები (ედიქტები, $\delta\iota\alpha\kappa\alpha\tau\alpha$) ან პროვინციების მმართველების პასუხები კერძო კითხვებზე (განკარგულებანი, $\delta\iota\alpha\tau\alpha\kappa\alpha\tau\alpha$) - მოვლენების აღწერისას, ორივე ტერმინი გამოიყენება მის მიერ. ათენაგორა ათენელის მიერ მარკუს ავრელიუსისადმი მიწერილ აპოლოგიაში - „შუამდგომლობა ქრისტიანთა გამო“ (თავი 3) და იმ დროინდელი დევნების შესახებ არსებულ გარკვეულ ცნობებში (მოწამე იუსტინე ფილოსოფოსი, ლუგდუნელი (ლიონელი) მოწამენი - Acta Justini; Euseb. Hist. eccl. V 1) არ დასტურდება ფაქტები იმის შესახებ, რომ რომის იმპერიაში ქრისტიანებთან მიმართებით არსებული კანონმდებლობა შეცვლილიყო. ეს იმპერატორი (მარკუს ავრელიუსი) ქრისტიანობას საშიშ ცრურწმენად მიიჩნევდა, რომელთან ბრძოლაც თანმიმდევრული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მკაცრი კანონმდებლობის ჩარჩოებში. მარკუს ავრელიუსი თავის ფილოსოფიურ ნაშრომში უარყოფდა და არ ეთანხმებოდა იმ ქრისტიანთა ფანატიზმს, რომელნიც სიკვდილზე მიდიოდნენ, რადგან ამაში „ბრმა სიჯიუტის“ გამოვლენას ხედავდა (Aurel. Anton. Ad se ipsum. XI 3). „ახალი ედიქტები“ და შეცვლილი სახით წარმოებული დევნები, რომელთაც მელიტონი მარკუს ავრელიუსს მიაწერდა, სავსებით შესაძლებელია, რომ წარმართების მოთხოვნებისა და ამ მოთხოვნებზე პროვინციების მმართველების პასუხების შედეგი ყოფილიყო, რომელთაც ერთის მხრივ კარგად იცოდნენ იმპერატორის განწყობის შესახებ და მეორეს მხრივ ცდილობდნენ რამენაირად ჩაეხშოთ საზოგადოების ნაწილის ანტიქრისტიანული განწყობა, რადგან ისინი ვალდებულნი იყვნენ, რომ ყოველ ჯერზე იმპერატორისათვის მიემართათ რჩევის მისაღებად (Ramsay. P. 339; Zeiller. Vol. 1. P. 312).

II საუკუნის 60-70 წლების დევნებს ცდილობენ დაუკავშირონ კიდევ ერთი იურიდიული ძეგლი, რომელიც შენარჩუნდა იმპერატორ იუსტინიანეს დიგესტებში (1) (VI ს. Лебедев. С. 78), რომლის მიხედვითაც „ღვთაებრივი მარკუსი ადგენდა, რომ დამნაშავეები, რომელთაც ბრალი ედებოდათ სუსტი ადამიანების შემფოთებაში, თავიანთი ცრუ ჩვეულებების გამო, კუნძულებზე უნდა გადაესახლებინათ“. (Dig. 48. 19. 30). აღნიშნული დოკუმენტი მარკუს ავრელიუსის მმართველობის უკანასკნელ წლებში გამოჩნდა. თუმცა, VI საუკუნეში მოღვაწე ქრისტიანი იმპერატორის მიერ ასეთი ნორმის ჩართვა იმპერიის საერთო კანონმდებლობაში, რომელიც შესაბამისობაში არ მოდის ისტორიულ ფაქტთან, რომელიც პატიმრებისადმი რბილ დამოკიდებულებას გულისხმობდა, არ

გვამღევს იმის საშუალებას, რომ ამ დოკუმენტს ანტიქრისტიანული მიმართულება მივცეთ (Ramsay. P. 340).

იმპერატორ მარკუს ავრელიუსს მიეწერება სენატისადმი მიწერილი რესკრიპტი, სადაც საუბარია დევნის შეწყვეტაზე. ტერტულიანესა და ევსები კესარიელის ცნობების თანახმად, გერმანულ ტომებთან ბრძოლის დროს (დაახ. 174 წ.) რომაელთა არმია, რომელიც წყურვილისაგან, ძლიერი სიციხისაგან და მის გარშემო მდებარე მოწინააღმდეგისაგან ძლიერ ტანჯვას განიცდიდა, სასწაულებრივად გადარჩა ჭექა ქუხილის მეშვეობით, რომელიც ქრისტიანი ჯარისკაცების ლოცვის შედეგად თავს დაატყდა მელიტინურ ლეგიონს. ამ ფაქტის გამო მათ „ელვისებურები“ ეწოდათ (Legio XII Fulminata; Tertull. Apol. adv. gent. 5.6; Euseb. Hist. eccl. V 5. 2-6). ერთ წერილში, რომლის ტექსტიც მოყვანილია წმ. იუსტინე მარტვილის I აპოლოგიის დანართში (თავი 71), აღნიშნულია, რომ ასეთი სასწაულის მხილველი იმპერატორი ამ დროიდან ნებართვას იძლევა ქრისტიანებად წოდებაზე, „რათა მათ საკუთარი ლოცვით რაიმე სახის იარაღი არ მოიპოვონ, რომელსაც ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ“, აიკრძალა ქრისტიანთა დევნა, ხოლო ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ქრისტიანს მხოლოდ იმაში დაადანაშაულებდა, რომ ის ქრისტიანია, ცოცხლად უნდა დაეწვათ. „მარკუს ავრელიუსის რესკრიპტი უდავოდ გაყალბებულია“, რადგან იგი მთელი თავისი მმართველობის პერიოდში არ ღალატობდა მისი წინამორბედების მიერ დადგენილ პრინციპებს და ყოველთვის სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს, - ასეთია ისტორიკოსების დასკვნა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით (Болотов. Собр. трудов. Т. 3. С. 86-87; Zeiller. Vol. 1. P. 316).

საბოლოო ჯამში იმ მოწამეთა რიცხვი, რომელნიც მარკუს ავრელიუსის დროინდელ დევნას შეეწირნენ, რომელთა სახელებიც ცნობილია და რომელთა კანონიზაციაც მოახდინა ეკლესიამ, იმდენივეს აღწევს, რამდენსაც სხვა ანტონინების პერიოდში აღწევდა. მარკუს ავრელიუსის მმართველობის დასაწყისში (დაახ. 162 წ.) რომში ეწამნენ - მოწამე ფელიციტა და მასთან ერთად სხვა შვიდი ადამიანი, რომელნიც ტრადიციულად მის შვილებად არიან მიჩნეულნი (см: Allard P. Histoire des persecutions pendant les deux premiers siecles. P., 19083. P. 378. N.2). რამოდენიმე წლის შემდგომ, კერძოდ 165 წელს, ფილოსოფოს-კინიკოს (ცინიკოს) კრესცენის დასმენის შედეგად, რომის პრეფექტმა - კვინტუს რუსტიკმა წმ. იუსტინე მარტვილი გაასამართლა. მასთან ერთად მისი 6 მოწაფეც ეწამა, მათ შორის ერთი ქალბატონი გახლდათ, სახელად ხარიტო (Acta justini. 1-6). კრესცენის დასმენის ფაქტი დაფუძნებულია ტატიანეს ცნობებზე, რომელსაც შემდგომ ევსები კესარიელი იყენებს. (Tat. Contr. Grace. 19; Euseb. Hist. eccl. IV 16. 8-9). იუსტინე მარტვილი თავის მეორე აპოლოგიაში (3 თავი) კრესცენს, როგორც მის სიკვდილში შესაძლო დამნაშავეს, ისე განიხილავდა. წმ. იუსტინესა და მისი მოწაფეების წამების შესახებ სარწმუნო აქტები შენარჩუნდა 3 რედაქციით (см. СДХА. С. 341. Сл., სამივე რედაქციის თარგმანი რუსულ ენაზე 362-370 გვერდები).

დევნები რომის იმპერიაში არსებულ სხვა ეკლესიებსაც შეეხოთ: დევნას დაექვემდებარნენ გორტინში და კრეტის სხვა ქალაქებში მცხოვრები ქრისტიანები (Euseb. Hist. eccl. IV 23. 5), ასევე წამებულ იქნა ათენის ეკლესიის წინამძღოლი - პუბლი (ხსენება 21 იანვარს.; Ibid. IV 23. 2-3). კორინთოს ეპისკოპოსი - დიონისე, რომის პაპ - სოტერისადმი მიწერილ წერილში (დაახ. 170), მადლობას უხდის მას დახმარებისათვის, რომელიც რომის ეკლესიამ გაუწია დაკავებულებს საკატორლო სამუშაოების დროს. დაკავებულებს მადაროებში ამუშავებდნენ (Ibid. IV 23. 10). მცირე აზიაში სერგი პავლეს პროკონსულობისას (164-166) მოწამეობრივად აღესრულა ლაოდიკიელი ეპისკოპოსი - საგარისი (Ibid. IV 26. 3; V 24. 5); დაახლოებით 165 ან 176-177 წლებში აწამეს ევმენიის ეპისკოპოსი თრასი (Ibid. V 18. 13; 24. 4) და ასევე ქალაქ ევმენიაში მცხოვრები ორი ადამიანი - გაი და ალექსანდრე (Ibid. V 16. 22); პერგამოში დაახლოებით 164-168 წლებში ეწამნენ კარლოსი, პაპილა და ალათონიკა (Ibid. IV 15, 48; ჰაგიოგრაფიულ ტრადიციაში, აღნიშნული მოწამეობა დეკიუსის დევნის პერიოდით თარიღდება. ხსენება 13 ოქტომბერს).



ღვენი, მდაბიო ხალხის მხრიდან მტრობის გაძლიერების ფონზე მიმდინარეობდა. წმ. თეოფილე ანტიოქიელი აღნიშნავდა, რომ წარმართები ქრისტიანებს „ღვენიდნენ და ყოველდღიურად ღვენიან, ზოგს ქვებს ესროდნენ, ზოგს კლავდნენ...“ (Theoph. Antioch. Ad Autoi. 3. 30). იმპერიის დასავლეთით, გალიის ორ ქალაქში - ვიენაში და ლუგდუნში (თანამედროვე ლიონი), 177 წლის ზაფხულში ერთ-ერთი ყველაზე მძვინვარე ღვენა აღესრულა (ლუგდუნელი მოწამენი, ხსენება 25 ივლისს და 2 ივნისს). ამ მოვლენების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ვიენისა და ლიონის ეკლესიების გზავნილში, რომლის ადრესატებიც ასიისა და ფრიგიის ეკლესიები გახლდათ (შემორჩენილია ევსების „საეკლესიო ისტორიაში“ – Euseb. Hist. eccl. V 1). გაურკვეველი მიზეზის გამო, ქრისტიანებს ორივე ქალაქში ეკრძალებოდათ გამოჩენა. გამოჩენა იკრძალებოდა საზოგადოებრივ ადგილებში - აბანოებში, თავშეყრის ადგილებში, მოქალაქეთა სახლებში და ა.შ. მდაბიონი, „ერთ გროვად შეკრებილნი“ ესხმოდნენ თავს ქრისტიანებს. მეფის ნაცვალის ჩასვლამდე, გალიაში მუნიციპალური მთავრობის წევრები იჭერდნენ ქრისტიანებს განურჩევლად მათი ასაკისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა და წინასწარი დაკითხვის შემდგომ ციხეებში ათავსებდნენ მათ, ხოლო მეფის ნაცვალის ჩასვლის შემდგომ, ქრისტიანებს სასამართლოს გზით უსწორებდნენ ანგარიშს, რომელსაც ტანჯვა-წამებაც ახლდა თან. სარწმუნოების უარმყოფელ პატიმრებსაც კი არ ათავისუფლებდნენ და გრძელდებოდა მათი პატიმრობა, რწმენაში განმტკიცებულ აღმსარებლებთან ერთად. აურაცხელი ტანჯვისა და შეურაცყოფის ატანის შემდგომ, ციხეში აღესრულა ადგილობრივი ეპისკოპოსი - მღვდელმოწამე პოთინოსი. არაადამიანური წამების შედეგად აღესრულნენ მატური, დიაკონი სანკტი, ბლანდინა (მონა ქალი), მისი მოზარდი ძმა - პონტიკი და სხვა უამრავი ადამიანი. ატალესთან დაკავშირებით, რომელიც რომის მოქალაქე და ცნობილი ადამიანი გახლდათ ლუგდუნში, გარკვეული სახის პრობლემები წარმოიშვა. მეფის ნაცვალს არ ჰქონდა მისი წამების უფლება და ამიტომ მან იმპერატორს მიმართა რჩევისათვის. მარკუს ავრელიუსმა მას ტრაიანეს რესკრიპტის სულისკვეთებით უპასუხა: „აღმსარებლები აწამეთ, სარწმუნოების უარმყოფელნი გაანთავისუფლეთ“. მეფის ნაცვალმა განაჩინა, რომ „რომის მოქალაქეებისავის თავი მოეკვეთათ, ხოლო დანარჩენები მხეცებისათვის მიეგდოთ“. ატალესთან დაკავშირებით გამონაკლისი დაეშვა: მდაბიო ხალხის (ბრბოს) სასარგებლოდ, იგიც მხეცებს მიუგდეს. სარწმუნოების უარმყოფელნი, რომელთაც ციხეში ყოფნისას კვლავ აღიარეს ქრისტე, ჯერ წამებას, ხოლო შემდგომ სიკვდილით დასჯას დაექვემდებარნენ. გალიაში, ამ ღვენის შედეგად, ტრადიციის მიხედვით სულ 48 ადამიანი ეწამა. მოწამეთა სხეულები დაწვეს, ხოლო ფერფლი მდინარე რონაში ჩაყარეს.

თარგმნა იოანე შოშიაშვილმა

წყარო: http://www.pravenc.ru/text/166129.html#part_3

ქართული წყარო: <https://www.palamacentre.com>

